



საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

20.03.2019 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №33

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების განთავსების
თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის
შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვებლობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 13 მარტის №02/2899 წერილის შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე ქ. ზუგდიდში, ქუჯის ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ორ ადგილას, განთავსდეს საგზაო ნიშანი „გაჩერება აკრძალულია ავტობუსებისათვის“.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი



ბესიკ ჭყეია